

მთაწმინდა

წესი 1 მან

გაზეთი ღირს: 1 თეთრი 25 კუპონი, ნომერი ყველგან 1 მანეთი. სი როგორც პირველ გვერდს, პეტრის სტრიქონი—2 მან. სამგლოვიარო განცხადება 40 მანეთი. ნიშნა განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქციისა და განტორის ალრესი: თფილისი, გლოვიანის პარკი. № 24.

ტელეფონი 16-62.

დასავლეთი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკის მთაწმინდა რედაქციის გამომცემლობა

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი ვასის დავითის ასული და ვლადიმერ ილიას ძე, თინა, ნატაშა და კოლა ტატიშვილები ამით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ამ წლის 2 ნეკენისთვის სოხუმში გარდაიცვალა პირველთა ერთად ერთი უსაყვარ ლესი ასული პატარა **ირა** გამოსვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ბაბუა დავით გიორგის ძე, ბებია მარიამ გიორგის ასული, ცუცუნა თავის შვილებით, ბიძები: ვასო და ლადიკო თავიანთი ცოლშვილით, პავლე და გრიგოლ საყვარელიძეები უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ მათი საყვარელი პატარა **ირა** ტასისთავის უღროოდ გარდაცვალებას. გასვენების დღე ცალკე გამოცხადდება.

3 ნეკენისთვის, გარდაიცვალა საინგილოს მღ. სიმონ თოფალაშვილის მეუღლე **მელანია აგვაშელაშვილის** რასაც შეწუხებულნი ქალი მისი ნინო და სიმე ლევანოვი ვლადიმერ ივანიკი შვილებით აუწყებენ ნათესავთ ნაცნობთ. პანაშვილები საღამოს 7 საათზე. წირვა ანდერძი პარასკევს, რ. გ. 5 ნეკენისთვის ეკლესიაში. განსვენება იმავე დღეს 2 ს. კუკის წმ. ნინოს სასაფლაოზე. ბინა რკინის გზის ეკლესიის ეზოშია.

ღრმად დამწუხარებულნი: მამა ხოსო გიორგის ძე, დედა ელისაბედ მიხარბეგის ასული, ძმები: ვარლამ, გიორგი და პავლე თავისი ცოლ შვილებით; დები შინავაგე და თებრონე თავისი ოჯახობათ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 5 ნეკენისთვის ქალ. თვალისში წმინდ. ნინოს ეკლესიაში გაღებულა იქნება დილა 11 ს. ერთი წლის პანაშვიდი **მიხაილ (მიშა) ხოსოს ძე შოშიტაშვილის** სულის მოსახსენებლათ.

ფოთის ქალაქის გამგეობა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ 2 ნეკენისთვის გარდაიცვალა გამგეობის მოღვაწე **გიორგი არგილის ძე გოგიჯანოვი** პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 საათზე განსვენებულის ბინაზე. დაკრძალვა შაბათს 6 ნეკენისთვის ნაშუადღევს 4 საათზე.

ახალი წიგნი—იქმნება ყველა წიგნის მაღაზიებში
გალაქტიონ ტაბიძე:
ლიქსები ტომი მეორე (1914-1919)
მსურველთ წიგნი გადაეგზავნება პროვინციაში. წიგნი უნდა მოითხოვონ შემდეგი მისამართით: თფილისი, ვაზ. „ეროთობა“.
წიგნის ფასი 25 მან.

საზღვრების საკითხი

საზღვრებს გამიჯვნა—აი ის საკითხი, რომელიც უთანხმოების მთავარ წყაროდ არის გადაქცეული საქართველოსა და სომხეთის შორის და რომლის გადაწყვეტის სიძნელეც ხელს უშლის ამ ორ სახელმწიფოს შორის ნორმალურ ურთიერთობის დამყარებას. ამ საკითხის გარშემო საქართველოს და სომხეთს თათქმის განუწყვეტილ მოლაპარაკება აქვს, მაგრამ მის გადასაჭრელად ჯერ კიდევ ვერც ერთი ნაბიჯი ვერ წადგმულა წინ.

უკანასკნელი გადაწყვეტილება, რომელსაც დაადგა სომხეთის და საქართველოს დელეგატთა კრება ამ საკითხში, ისევე ძველ მდგომარეობის დაცვებას უდრის: მეზობელ სახელმწიფოთა შორის ბორჩალოს მაზრაში ისევე რჩება წინანდელი ნეიტრალური ზონა, რომელსაც შერეული ადმინისტრაცია განაგებს; მთავარ-კომისარად, მესამე პირად ნეიტრალურ ზონაში დარჩება ინგლისელი აფიცერი.

სასამოვნოა, რომ საქართველოსა და სომხეთს შორის სადავო საკითხები მოლაპარაკების საშუალებით წყდება, რომ ჩვენს ურთიერთობაში თითქმის უკვე მტკიცდება შეგნება მხოლოდ და მართო კულტურული საშუალებების შესაძლებლობისა. მაგრამ ყველასათვის აშკარაა, რომ ის გადაწყვეტილება, რომელსაც მიაღწია მეზობელ სახელმწიფოთა დელეგატების კრება, სადავო საკითხს სრულებითაც ვერ სწევებს და მხოლოდ საკითხის გადადგმას წარმოადგენს. ნეიტრალურ ზონის დაწესება საკითხის გადაწყვეტა არ არის; უცხო სახელმწიფოს ოპიკა, რასაც უდ-

რის ინგლისის აფიცრის მთავარ კომისარად დაყენება ნეიტრალურ ზონაში, ხანგრძლივი ვერ იქნება, თუნდ რომ ეს ჩვენთვის სასურველიც იყოს, ამაზე ინგლისი მუდამ ძნელად თუ დათანხმდება. ამიტომ აუცილებლად საჭიროა, რომ მოლაპარაკება მეზობელ სახელმწიფოთა შორის განგრძობილ იქნეს, საჭიროა, რომ იმდენხანს გეძიოთ შეთანხმებულ ფორმებში, მანამ საზღვრების საკითხის ძირითად გადაჭრის საშუალებას არ გამოკვებნით.

ამ ძიებაში ორივე მხარემ ერთი მთავარი პრინციპი უნდა მივიღოთ სახელმძღვანელოდ საზღვრების საკითხის გადაწყვეტა უნდა მოხდეს მხოლოდ დაინტერესებულ სახელმწიფოთა საშუალებებით; ორივე მხარემ ყოველივე ღონე უნდა იხმაროს, რომ ამ საკითხის გადაწყვეტაში ყოველი გარეშე ძალის ჩარევა, ყოველივე ინტერვენცია თავიდან ავიშოროთ. უნდა მტკიცედ შევიგნოთ ის ქეშმარიტება, რომელსაც ასე დაყენებით გვიკარნახებს უკანასკნელი წლების მწარე გამოცდილება: მეზობელ სახელმწიფოთა ურთიერთობა მტკიცე ნიღაბზე მხოლოდ მაშინ არის დაფუძნებული, როდესაც ისინი თითონ, თავის ძალით და თავის საშუალებებით მიახწვენენ შეთანხმებას, როდესაც ერთმანეთთან მორიდგებიან თავის სურვილისამებრ სხვა სახელმწიფოთა ძალდაუტანებლად. პირიქით ყოველივე შეთანხმება, რომელიც გარეშე ძალის გავლენით არის ჩამოგდებული, ვერ იდგება მკვიდრ ნიღაბზე და ამ გარეშე ძალის გავლენის მოსპობისთანავე ირყევა.

ეს ქეშმარიტება უნდა გვახსოვდეს ორივე მხარეს მაშინაც, როდესაც პარიზის კონფერენციისაკენ ვიყურებით და მისგან მოველოთ

სანიტარული გადასახალი

თანხმად დაჟ. კრების დეკრეტისა ქალაქებში და ერობებში უკვე გააწერეს სანიტარული გადასახალი. ყველაზე მეტად მტრულად ამ გადასახალს თფილისის ბურჟუაზია შეხვდა. ის ყოველივე საშუალებას ხმარობს შექნას ამ კითხვის გარშემო ისეთი ატმოსფერო, რომელიც ნიადაგს მოუხმადებს მოულოდნელ უსიამოვნობას.

სიტუკით უხვი, საქით ძენწი ჩვენი ე. წ. ბურჟუაზია იმდენათ გათამამდა თავის ანტირესპუბლიკანურ მუშაობაში, რომ მუშათა წრეების მომხრეობასაც კი ლამობს. მათი აგიტაციები უმტკაცებენ მუშებს, რომ, თუ გადასახალი არ მოიხსნა, ჩვენ იძულებული ვიქნებით საქონლის ფასი გავადიდოთ და ასე დაბოლოს მომხმარებელნი ავიღოთ.

ამ თავის მუქარას ზოგიერთები კიდევაც ანსოცილებენ. ბევრ სავაჭრო დარგში უკვე მოუმატეს საქონლის ფასს იმდენი, რომ მათ გაუმაძღარ ჯიბებს კიდევ ზედმეტი მოსაგები რჩება. ამ რიგით, ახალი გადასახალი მათთვის შემოსავლის ახალი წყარო გახდა და თუ ამას არ მიექცა სერიოზული ყურადღება—ვაჭრები თავის განზრახვას საცხები მოიყვანენ სსსრულში, გაასახადის სიმძიმეს ერთადეალ მომხმარებელზე გადაიტანენ და ეს კი გამოიწვევს საშარტლიან გულის წყრომას და უკმაყოფილებას. მათ კარგათ იციან, რომ კანონის წინააღმდეგ აგიტაცია და მისი დაუმორჩილებლობა დაუშვებელია ყველა უფლებრივ სახელმწიფოში, მარა, თუ მაინც ასე იქცევიან ალბათ, ჰკონათ, რომ ჩვენი რესპუბლიკა იმდენათ სუსტია, რომ ყველას შერჩება რაც უნდა ქნას.

გადასახალი გაწევილია, განაწილებულია და სათანადო ორგანიზების მოვალეობა დაუყრდნობელია შეუდგენ მის აკრეთას. ამდენი წელიწადია ჩვენს შექმლებულ კლასებს არაფერი გადაუხდიათ. მიუხედავად ცუდი პირობებისა, ან უკეთ სწორეთ ასეთი პირობების გამო, მათი მოგება საზღაპროთ გაიზარდა, ეს გადასახალიც სწორეთ მოგებაზე გამოანგარიშებული და ვაკუტრებით თავის მოკატუნება, ანდა ვაკუტრობა-მრეწველობის დაცემის მუქარით თავის მოვალეობის აცილება—ეს ის საფრთხო ბეღაა, რომელიც გამოჩნდება ხოლმე სტენაზე ყოველ ასეთ შემთხვევაში.

დემოკრატია სისხლთა იცავს და ამავრებს რესპუბლიკას, ბურჟუაზია მოვალეა თავის კიდობანი გახსნას და ნაწილი თავის მოგებისა მოახმაროს იმ საქმეს, რომელიც მისთვისაა აუცილებელი და თუ ნებით არ სურს ეს მოიმოქმედოს, რესპუბლიკამ უნდა აგრძნობინოს—თუ რას ნიშნავს კანონის წინააღმდეგ ამხედრება.

მთავრობა, ერობები და ქალაქები მოვალენი არიან თვალყური ადევნონ, რომ ეს გადასახალი აო ანოვიდეს მომხმარებელთა ჯიბიდან. ფასების მომატება გადასახალის მიხედვით არის ნამდვილი სპეკულიაცია, რაც სასტიკათ უნდა დაისაჯოს.

ვანი.

პრესა

ეს არ ახსოვს ის თავდაუქრელი გამბროტებული აგიტაცია, რომელსაც ჩვენებურა შავრაზმელები ეწეოდენ გვარდიის წინააღმდეგ? დღეს გვარდიის ღვაწლმა და სიგმირემ მისი დაუქინებელი მტრებიც კი ჩააჩუქა და ზვით ნაც. დემოკრატულ პარტიის ორატორებიც კი, მეტი ღონე არ არის, ქებით იხსენებენ მას. არ ცხრება მხოლოდ ზურბების ორგანო „კლდე“, რომელიც მაინც განაგრძობს ჯარსა და გვარდიის შორის ღვარძლის თესვას და ქაშაობის გაღვივებას. ამ ვაზეთის უკანასკნელ ნომერში ვიდაც ირ. დიდიძე აწნაირ სტრიქონებს სწერს:

„ყველაზე საინტერესო ის არის, თუ რა მდგომარეობაში რჩება რეორგანიზაციის მეორე ჯარი; რეორგანიზაცია საერთოდ რესპუბლიკის ყველა შეიარაღებულ ნაწილებს შეეხო, თუ სოციალისტებმა დასტოვეს ერთი პრივილეგიური ჯარი, რომლის სახელიც ქართულ ერზე სოციალისტების ბატონობის ისტორიაში... რევოლიუციის შარავანდელობათ ჩექსოვებმა... ეს არის სახალხო გვარდია... უკუით მაძლარი, ჯიბით მდიდარი, პატივმოსილი და მოსვენებული... რეორგანიზაცია გვარდიას არ შეხებია, რამაც რეგულიარულ ჯარში ვაოცება გამოიწვია... მაგრამ ამ უკანასკნელ კითხვებზე შეგდეგ“.

შავრაზმელები ბევრს ეცადენ გვარდიასა და რეგულიარულ ჯარს შორის უთანხმოება ჩამოეღოთ, მაგრამ ამ საწადელს მაშინაც ვერ მიახწიეს, როდესაც ეს ორი ძალა პირველად გამოვიდა ბრძოლის ასპარეზზე. დღეს, როდესაც ჯარმა და გვარდიამ თავის სისხლით განამტკიცა თავისი ძობა, ვერავითარი შავრაზმული პროვოკაცია ვერ დაარღვევს მათ შორის თანხმობას.

„კლდე“ სწორედ პროვოკაციის ორგანოდ გადაქცა. იმავე ნომერში, სადაც ის გაზეთი გვარდიისა და ჯარს ერთმანეთს უსისიძენებს, პლევე - დურნოვო სტოლიპინის მოწაფე, პროვოკაციულ საქმეებში დახელოვნებული, ყოფილი ქუთაისის პოლიციისტი ბ. კ. სვიმონოვი ცდილობს ღვარძლი დათესოს ქართულ-კახელებსა და იმერელ-გურულებს შორის:

„რომ მთელი საქართველოს ტერიტორია იმერეთმა, ესე იგი ნამდვილად გურიამ და სამეგრელომ დაიპირა ხელში და მართლაც გაბატონდა, ამას, ჩემო ბატონო რემიშვილო, სათვალეები გაიკეთეთ, დაიარეთ სხვადასხვა დაწესებულებანი, თუ გისწავლიათ თითებზე დედნებზედ ანგარიში, დათვლეთ ყველა მოსამსახურე, მაშინ თქვენ თავად, თუ წერვა იცით, დაჩხანეთ და მაშინ ჩაუფიქრდით და თუ მართალი არ გამოდგება, მე გამლანძღვით“.

„კლდე“ მესვეურნი თავის თავს პირველ ხარისხობან პარტიოტებს უწოდებენ, მაგრამ პარტიოტობა მათ თავისებურათ ესმით: პარტიოტობა ის არის, რომ საქართველოს საქმეებში ჩასარყვად მოუწოლო უცხო ძალებს; პარტიოტობა ის არის, რომ ერთმანეთს გადაკიდო საქართველოს რესპუბლიკის მთავარი დამცველი ძალები; პარტიოტობა ის არის, რომ შური და მტრობა გააღვივო სხვადასხვა კუთხის ქართველებს შორის.

გერმანიის

გერმანიიდან ახლად დარწმუნებულმა კ. გამსახურდიამ ჩვენ თანამშრომელს გერმანიის მდგომარეობის შესახებ შემდეგი ცნობები გადასცა:

პოლიტიკური მდგომარეობა.

მთელი ინიციატივა ნოემბრის რევოლიუციისაა, როგორც მოგვსენებათ, მეუბრავლესე—„მერკაიტს“—სოციალისტების ეკუთვნით. ამ ზომიერ სოციალისტების ორგანო „ფოროვერტი“ ნოემბერშივე დაარსდა ულტრა სოციალისტური—სპარტაკის ჯგუფი; რომელმაც რევოლიუციონუროს გზით დაიკავა „სოციალ-ანციაციის“ რედაქცია—და ეს პილატიურა

ლეს

ფრანგული წყაროებიდან მიღებული ცნობით რუმინელები უნგრეთს ახლო ხანში დასტავებენ.

დასავლეთის ფრონტზე, ბობრუისკის მიმართულებით. საბჭოთა ჯარი ახალ პოზიციებისკენ იხევს. ცარიცინის რაიონში, ქალაქიდან 30 ვერსზე ჩრდილო-აღმოსავლეთით ბრძოლაა.

პოლონელებმა განაახლეს გერმანიის საჯაროულობაზე თავდასხმა. გერმანიის მთავრობა უარყოფს, თითქოს ზემო ხილველიაში გერმანელები მკაცრად იქცეოდნენ.

ქვა-ნახშირის უქონლობის გამო გერმანიის ზოგიერთ ქარხნებში მუშაობა შეწყდა.

მიუნხენის სასამართლო შეუდგა სპარტაკელების საქმის გარჩევას, რომელთაც მძევლების დახოცვა ბრალდებათ.

ორგანო „წითელ დროსად“ მონათლა. ამავე დროს არსდება დამოუკიდებელ—(უნიბჰენგი) სოციალისტების ორგანო „ფრაიპატი“—თავისუფლება.

ყველას გვეგონა, რომ ლიბკნეხტის, კაუცკის და შეიდემან-ნებერტ ნოსკეს ჯგუფები ბურჟუაზიის წინააღმდეგ შეერთდებოდნენ, მაგრამ ტაქტიკურ პრობლემების გარშემო ატეხილი ბრძოლა განვითარდა. ლიბკნეხტისა და როზა ლუქსემბურგის მოკვლამ ეს უფსკრული უფრო გაღრმავა.

დღეს გერმანიის რესპუბლიკანური მთავრობა ეფრდნობა ზომიერ სოციალისტებს, ცენტრს და კონსერვატივებს. ზომიერი სოციალისტების დევიზია: ჯერ პოლიტიკურად ხსნა გერმანიის ბაღისა, შემდეგ რადიკალური სოციალური რეფორმები. ზავის პირობების ხელის მოწერის წინააღმდეგ იყვნენ შეიდემან-ნებერტები. „გახმეს ის ხელი, რომელიც ამ პირობებს ხელს მოაწერს“—სიტყვა შეიდემან-ნებერტისაა. უნივერსიტეტის დარბაზში გამართულ ეროვნულ კრებაზე. მეორე დღეს შეიდემანი გადადგა. მიულერისა (ს. დ.) და ერცბერგერის (ენერ.) თაოსნობით ზავს ხელი მოაწერეს.

ვერსალის ზავი ქვაკუთხედი აწინდელ ეროპულ სახელმწიფოების დამოკიდებულები-სა და პოლიტიკური სტრუქტურისა. 1) ელზას ლორენი საფრანგეთს ერგო; 2) შლეზვიგ ჰოლშტაინი დანიას; 3) პრუსიის პოლონეთი—პოლონეთს; 4) ზაარის დებარტამანი—საფრანგეთს 15 წლით; 5) რეინზე სადემარკაციო ხაზი; 6) შლეზიაში ახლა ხდება რეფორმები (უკანასკნელი დღეების ცნობებით შლეზიას ავტონომია ექნება გერმანიის სახელმწიფო ფარგლებში); 7) გერმანია ახდენს ჯარის დემობილიზაციას. მას ნება აქვს ორიოდე ასეული ათასი ჯარისკაცი და 10 ათასი აფიცერი იკლოს; 8) გერმანიის ჩამოერთვა მთელი სამხრეთი ფლოტი—(რომლის ნაწილიც სცაბაფლოვთან ჩსძირეს თვით გერმანელმა მეზღვაურებმა)—აგრეთვე დიდი ნაწილი სავაჭრო ფლოტისა. 9) გერმანიის მიიღებენ ერთი კავშირი, თუ იგი გულწრფელ ორენტაციას ამოიჩვენებს და ჰეგემონიურ გეგმებს უკუ ადგებს. 10) გერმანია იხდის ეკვივალენტს დაზარალებულ ბელგიის და საფრანგეთის ჩრდილო დებარტამანების აღსადგენად. 11) ჯერაც არ არის გადაწყვეტილი იმ მილიარდების რაოდენობა, რომელიც გერმანიამ უნდა გადასცეს მოკავშირეებს. 12) გერმანია დებულაბს სურსათის ამერიკიდან. ეს საქონელი ოქროს ფულით უნდა იქმნას გამოსყიდული.

სულიერი განწყობილება.
თვით დემოკრატიული წრეებიც არ სცნობენ იმ დანაშაულს, რომელიც გერმანიას უნდა მიუძღოდეს მსოფლიო ომის დაწყებაში მთელი ქვეყნის წინაშე, თუმცა ვერსალის ზავის პირობებში ხელი მოაწერეს იმ პუნქტს, რომელიც აღიარებს, რომ ომი გერმანიამ გამოიწვია. დიდა გაბოროტება „ანტანტის“ წინააღმდეგ. რეგანის ინსტინქტები ფრთხილად ჰსულიან. ყველა ხედავს დიდი „რეგანის“ იმედი მსუქნებას.
რისი იმედი აქვთ?
— მსოფლიო რევოლუცია დაამბობს ინგლისს, იგი მოსწყვეტს მას ინდოეთს, (პრესაში ლაპარაკობენ რუსეთთან კავშირზე) მაშინ გერმანია საფრანგეთს და პოლონეთს განადგურებს.
ეკონომიური მხარე ცხოვრებისა.
1) გერმანიას აუარებელი დამზადებული სამეურნეო ნაქანები აქვს. მოელოება მედიკამენტებიც. 2) ცოცხლებმა მიძინებული კომერციული და საწარმოო ძარღვი. ბერლინი დღითი დღე აღებენ იმ საწყობებსა და მალაზიებს, რომელნიც ომის დროს კარ გამოკეტა იყვე-

ნენ. 3) დანია ომის დროსაც ჩუმიად ვაჭრობდა გერმანიასთან, ახლა პირველმა გამოუყოფა გერმანიის ხელი ვაჭრობა-მრეწველური ურთიერთობის განსახლებლად. იგივე ითქმის შვეიცარიას, ამერიკისა და ჰოლანდიის შესახებ.

საერთოდ მთელი სკანდინავია აბრეზილი იყო ანტანტის მიმართ, რომ მას ბლოკადა ნებას არ აძლევდა გერმანიის ზახრით ესარგებლა. დიდძალი საქონელი მოდის სკანდინავიიდან.

დასკვა.
თუ ზომიერ სოციალისტებს სახელმწიფოებრივი საქმე შერჩათ, თუ ჰინცილიერელები ან სპარტაკელები არ გამოიყვებენ ხელმეორე ქარხნალებს, გერმანია 10-ოდე წლის განმავლობაში ისევ ამაღლდება. მოსავალ პოლიტიკურ მოკავშირეთა შორის გერმანიის მხედველობაში ჰყავს პანსლავისტური მოძრაობით გაბოროტებული იტალია, მაგრამ ახლო მომავალზე ჯერ-ჯერობითაც ძნელია რაიმე პოზიციურად ითქვას. ინგლისის ნაპირებს რომ ჩამოუარეთ, იქ ვითარდება იყო.
ჩემი საერთო შეხედულება საერთოდ ევროპის შესახებ შეიძლება მარქსის რამოდენიმე სიტყვით გამოხატოს: „აჩრდილი უვლის ევროპის სახელმწიფოებს, აჩრდილი სოციალური რევოლუციისა“.

საბჭოთა რუსეთი

2 სექტემბერს ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტის დარბაზში საბჭოთა რუსეთიდან ახლად ჩამოსულმა ამა. ათაბეგოვ-ტუშმაში წიკითხა ლექცია საბჭოთა რუსეთის მდგომარეობის შესახებ.

კომუნისტური პარტია რევოლუციონური პარტიაა, რომელიც განსხვავდება თვით ბალშევიკურ რუსეთისაგან. მასსა, რომელიც მხარს უჭერდა საბჭოთა რუსეთს, არ იყო რევოლუციონურად განწყობილი, დემოკრატია არ იყო შეკავშირებული და დემოკრატიის სისუსტეს მიეწერება კომუნისტების გამარჯვება. ბალშევიკებმა კარგად იცოდნენ, რომ აცხადებენ რა პროლეტარიატის დიქტატურას, უნდა გამოეცხადებინათ ეკონომიური დიქტატურაც და ეს მოხდა კიდევ ეკონომიურ დიქტატურას მოჰყვა ის, რომ მთელი მრეწველობა დაეცა და ამ ქაზად მეტად სამწუხარო სურათია. ამის მიზეზები ბევრია. და გარდა იმისა, რომ ბალშევიკებმა ვერ შესძლეს მოვლა და პატრონობა ქარხნებისა. საბჭოთა მასალის ნაკლებობა ძლიერი ხელს უშლის წარმოებას. ამას ზედ დაერთო დაუსრულებელი სამაქალაქო ომი, განადგურება სამრეწველო ცენტრების და სხვა. რაც შეეხება მეურნეობას, ბალშევიკები მართალია სასტიკად გმობდნენ მიწის სოციალიზაციას, მაგრამ მასამ აიძულა იგინი მოეხდინათ არამც თუ მიწების დაყოფა, არამედ—ცოცხალი ინვენტარიც კი გაუყვეს გლეხებს. ამას თავის დაღებით შედეგებიც მოჰყვა, ბევრი მიწა დამოშავებულ იქნა. მოსავალიც კარგი იყო, მაგრამ რა წამსაც ბალშევიკებმა დაუწყეს ხორბალეულობის წარმოება გლეხებს,—მეურნეობაც დაეცა. გლეხი აღარ სთესავდა პურს, რადგანაც თავის მოსავლის პატრონობა თავის თავს არ გრძნობდა. ფინანსიური მდგომარეობაც მეტად უნაყოფოა, აუარებელი ქაოტის ფული იბეჭდება, რომლის დარღველებაც დღითი დღე ეცემა. მეტად ცუდ მდგომარეობაში არის ვაჭრობაც. კროძო ინიციატივა დასშულია. საბჭოთა მთავრობა კი თვითონ უძღვრია ნორმალურ პირობებში ჩაყვანის ვაჭრობის საქმე. სურსათის ნაკლებობა ძლიერი საგრძნობია. იმ დროს, როდესაც ქალაქები დიდ შიმშილს განიცდიან, სოფლები თავს შედარებით კარგათ გრძნობენ და ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ ქალაქებს არ ჩაუვარდეთ მათი წლის სარჩო. რაც შეეხება სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ფორმას, ბალშევიკები მართალია იყვნენ და არიან უკიდურესი ცენტრალისტები, მაგრამ მათა უნებურათ მთელ რუსეთში გამეფებულია დამახინჯებული ფორმა ფედერალიზმისა. ყოველი კუთხე თავისთვის ზრუნავს. ხშირათ სურსათი დანიშნულებისამებრ არ იგზავნება, რომელ კუთხის საბჭოსაც მოესურვება, შეუძლიან თავისთვის მისაკუთროს. რაც შეეხება საბჭოთა რუსეთის სულიერ ცხოვრებას, ამ მხრივ ბევრი კარგი რამ გაკეთდა. ლუნინარსკის მიერ შემუშავებული გეგმა შრომის სკოლისა იდეალურია, დიდი სარგებლობაც შეუძლია მიიღონ, ლიტერატურა-ხელოვნებას ყოველ მხრივ ხელი შეუწყვეს, ამ დიდა საქმეს დიდი ნაკლიც ახლავს. ეს არის ფინანსიური სიკოტრის უფრო გაღრმავება, რომელიც კატასტროფას ამზადებს. რაც შეეხება ხალხის დამოკიდებულებას ბალშევიკურ მთავრობისადმი, ამ მხრივ მუშების საგრძნობი ნაწილი მხარს უჭერს მას.

დენიკინის და კოლჩაკის საფრთხე ბალშევიკებისაგან გადახარა მუშები. მართალია, უმუშევრობა დიდ უკმაყოფილებას იწვევდა მუშებში, მაგრამ ბალშევიკებმა ამ მხრივ შეტანილი ნაბიჯები გადადგეს. ბევრი უმუშევარი ნაწილი წითელ არმიას გაგზავნეს. ბევრს დახმარება აღმოუჩინეს და ამ მხრივ უკმაყოფილება შეიანღეს. რაც შეეხება გლეხობას, ის შეურიგებელი მტერი კომუნისტების და ტრაღედია ბალშევიკებისა აქარის. თუ დენიკინის და კოლჩაკის საფრთხის თავიდან ასაცილებლათ გლეხობა ბალშევიკებს უჭირს მხარს, იგი დაუყოვნებლივ დატოვებს და აჯანყებებს უწყობს ბალშევიკებს, რომელსაც კი უკანასკნელი მოინდომებს თავის გეგმების განხორციელებას. აუარებელი აჯანყებებს აქვთ ადგილი საბჭოთა რუსეთში. გლეხობა იარაღით ხელში უწყვეს წინააღმდეგობას კომუნისტებს და ცდილობს მათი ბატონობა მოიშოროს თავიდან. ინტელიგენცია ამ ქაზად საბჭოთა მთავრობასთან არის, მას არც გაუწყვია სერიოზული წინააღმდეგობა კომუნისტებისთვის და ვერც შესძლებდა გაეწიოს.
რაც შეეხება პარტიებს, ამ მხრივ სოცდემ., როგორც წვრილ ბურჟუაზიული პარტია, გლეხობის მხარეზე და სამკვდრო სასიცოცხლო ომს უცხადებს ბალშევიკებს. სოცდემ. პარტია, რასაკვირველია, წინააღმდეგია გარეშე ძალის ჩარევის და მისი დახმარებით ბალშევიკების დამარცხებისა. კონტრ რევოლუციის საფრთხის წინაშე მენშევიკები მხარს უჭერენ ბალშევიკებს და მათთან ერთად იგი რაიბენ რეპუტაციის ძალეებს. რაც შეეხება საბჭოთა რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობას, ამ მხრივ საყურადღებოა ლენინის სიტყვები: „თუ არ იქნება სოციალური რევოლუცია ევროპაში—ჩვენ დავიღუპებით“. ამ მხრივ ბალშევიკების მდგომარეობა ტრაგიკულია. რუსეთი, როგორც ეკონომიურათ სუსტი ქვეყანა, არავითარ საგრძნობ ძალას არ წარმოადგენს. და ამიტომაც მან ვერ აიძულა ამერიკა, ინგლისი და საფრანგეთი ჩამოეგდოთ ის ზავი. რომლის დამყარებაც ბალშევიკები თავიდანვე შეეცადნენ. ბალშევიკების იმედიები სოციალურ რევოლუციის შესახებ არ გამოთლდა. მხოლოდ დამარცხების შემდეგ მოხდა რევოლუცია გერმანიაში და ავსტრო-უნგრეთში. თუ საერთაშორისო მდგომარეობა არ არის ხელსაყრელი ბალშევიკებისათვის, არც შიგ რუსეთშია მცირე ერების განწყობილება მათდამი კარგი. კომუნისტები სიტყვით იცვენ ერების თვითგამორკვევას, საქმით მას ხელს უშლიან.
ლექტორი ამ თავის დებულებას ანტიციებს მრავალი ფაქტებით. მოჰყავს მაგალითები უკრაინის ცხოვრებიდან. იგონებს ბაქოელ ბალშევიკების ტაქტიკას საქართველოს მიმართ. იმ დროს, როდესაც საქართველოს დემოკრატია სისხლიდან იცლებოდა ოსმალთა ასკერებთან ბრძოლაში, ბალშევიკები მათ აჯანყებას უწყობდნენ. ორატორის აზრით შეუძლებელია გამარჯვება საბჭოთა რუსეთისა ისევე, როგორც დენიკინ-კოლჩაკის. აქ ხსნა ერთი თვითგამორკვევა. წარღვი ერების გამარჯვებას ხელი უნდა შეუწყობო. შიგნი დაცვა რევოლუციის მონაპოვარის, დემოკრატიის დარაზმვა და შემდეგ კი კავშირის დაკლება—ამ ხსნა და გამოსავალი შექმნილ მდგომარეობიდან. ორატორი ეხება რა საქართველოს დემოკრატიის ნაბიჯს, დამოუკიდებლობის გამოცხადებას, მას მოხან-შეწონილათ მიანიან. რევოლუციის პირველ დღეებში საქართველოს რომ დამოუკიდებლობა მოეზობოვა, ეს იქნებოდა დლატი საერთო საქმისათვის. საქართველო დემოკრატია გამოცხადდა დამოუკიდებლობა მაშინ, როცა ეს საქართველო იყო და ამით მან შეინარჩუნა ის მონაპოვარი, რომელიც დიდმა რევოლუციამ მიანიჭა მას.

წარ. რედაქციის მიმართ
გთხოვთ დაბეჭდოთ შემდეგი: „საქართველოს“ 187 ნომერში პირველი სექტემბრიდან დაბეჭდილია: „თფილისის მილიც. უფროსს, სულაქვილიძეს, ავტომობილით მიჰყავდა მილიციონერების მიერ გაბაწრული მე 2 უბნის კომისარს მიქაბერიძე და სცემდა მას. მიქაბერიძე ყვიროდა და მოქალაქეთაგან შევლას ითხოვდა. მისი ყვირილი ჰფარავდა ქუჩის ხმაურობასაც კი, და ეს სიმხვეც გრძელდებოდა რუსთაველის ქუჩიდან სამილიციონერების ბინამდე, რომლის წინ მილიციელებმა კომისარს წაართვეს ხმალი, ქული, დაუხიეს ტანსაცმელი და ისევ სცემეს.
მთელი ქართველი საზოგადოება აღშფოთებულია ამ წარმოუდგენელი ბარბაროსობით, რომელიც შეურაცხყოფილია ადამიანის ღირსების და ჩირქს სცემებს და არცხვენს ჩვენს სახელმწიფოებრივ კულტურას.
საზოგადოებაში, მომხდარი ამის გამო,

ფრად სიეკო ხმები დადის: „მომხ, რომ მილიციის უფროსმა შური იძია მისთვის, რომ მიქაბერიძის თანაშემწე, საქართველოს წინარბელი და ბოროტი მრეწველბენი მილიციის უფროსის დახმარებით მიქაბერიძის თანაშემწეც, ვინც აკობარდა, მილიციის უფროსს გუშინის სასიკვდილოთ უცემია და დღესაც საავადმყოფოში იმყოფება...“

საზოგადოებრივი აზრი ითხოვს ამ აღმაშფოთებელი საქციელის პირუთენელ გამოძიებას და დამნაშავის პასუხისგებაში მიცემას და ჯეროვან დასჯას“.

ქალაქის მოურავმა იმ დღეს ენახულა „საქართველოს“ რედაქცია და გადსცა ცნობები, რომ ზემოთ მოყვანილი მტ.ნარი სიცრუეა თავიდან ბოლომდე, მიქაბერიძე არ ყოფილა გაბაწრული, იმას არავინ არ სცემდა, არავის მისთვის ტანისამოსი არ შემოუხვეია. სრული სიცრუეა და ცილის წამება, თითქო სულაქვილიძე შურს იძიებს მიქაბერიძეზე, რაც ბოროტმრეწველის გამოძიების გამო. თუ ვინმე მტერი ბოროტ მოქმედებისა, თუ ვინდ თვით მილიციისა, ეს უპირველესად სულაქვილიძეს უნდა ჩვეოდემ მარტო განცხადებისა გამო ორი მილიციონერი მიქელაძე და კანდლაკი დაუყოვნებლივ გადაყენა და გამოძიებას აწარმოებს.

„საქართველოს“ რედაქციას დაუმტკიცა საბუთებით ხელში რომ, აკობარდიასთვის მილიციის უფროსს არა თუ სასიკვდილოთ არ უცემია, არამედ ხელიც კი არ წაუკარგებია საცემით, და სხვადსხვა.

მთელ კორესპონდენციაში მხოლოდ ერთია მართალი,—ეს ის, რომ მიქაბერიძე ავტომობილში მართლაც ყვიროდა, მაგრამ ყვიროდა იმისთვის კი არა, რომ მას სცემდნენ, ან იმისათვის კი არა, რომ სიკვდილი მოელოდა, არამედ იმიტომ, რომ, იგრძნო რა თავი შეურაცხყოფილად დატუსაღებით და დანიხა რა, რომ ეს დატუსაღება კანონიერი იყო და გათავდებოდა იმისაგან სამსახურიდან დათხოვნით, მით უმეტეს, რომ მეორე კონფლიქტს მისი და მილიციის უფროსის შორის უკვე წინა დღეებში ქონდა ადგილი, მან გადაწყვიტა „თავისი ბედის“ სასწაოზე დადგება და მორთო ყვირილი, თითქო იმას ჰკლავდნენ, თითქო სცემდნ და სხ. აქედანა სჩანს ეს, რომ მან ყვირილი თავიდანვე კი არ დაიწყო, როგორც ავტომობილში ჩაჯდა, არამედ—ავტომობილში მიერ რამდენიმე მანძილის გაგლის შემდეგ, ფეხზე წამოხტა მიმავალ ავტომობილში და ყვირილთან ერთად ძირს გადახტომას აპირებდა.

რა უნდა ექნა ამ პირობებში მყოფ მილიციის უფროსს და კომისარს რევიშვილს! რასაკვირველია, ხელი უნდა მოეკიდნა და არ გაეშვათ! რაც კიდევ მოინიშნებდა რევიშვილმა: ამას უძახიან გაბაწრას! რომ მართლა გადავარდნილიყო ავტომობილიდან, მაშინ იტყუოდნენ გადაადგეს და დაამტკიცეს!
ერთი სიტყვით მიქაბერიძემ, მართალია, რომ „შეურაცხყოფილს“ საუცხოვლოდ შეასრულა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ასე იყო სინამდვილეშიც.

ყველა ეს მოსაზრებანი და საბუთები „საქართველოს“ რედაქციას წარუდგინა ქალაქის მოურავმა იმავე დღეს, მაგრამ რადგანაც დღემდე რედაქციამ არაფერი არ დაბეჭდა, ამისთვის ქალაქის მოურავის დავალებით ნებას ვაძლევ ჩემს თავს ეს ამბავი გამოვამკვეყნო სხვა გაზეთების საშუალებით.
გამგეობის მდივანი დ. სულთაშვილი.

P. წ. ეს წერილი გასაგზავნათ დამზადებული იყო, რომ დღევანდელ „საქართველოს“ ნომერში მოთავსებულია რედაქციის განმარტება, რომელშიაც ბუნდოვანათ ისაა ნათქვამი, რომ პირადათ ბნ სულაქვილიძეს მიქაბერიძე—აკობარდიას შეურაცხყოფაში მონაწილეობა არ მიუღიათ, მაგრამ განმარტება საერთოდ დამაკმაყოფილებელი არ არის. თქვენს წერილში, პატივცემულო „საქართველოს“ რედაქცია, სამი კითხვაა წამოყენებული: 1) მილიციის უფროსმა ან სხვა ვინმემ სცემა თუ არა მიქაბერიძეს, 2) მილიციის უფროსმა სცემა თუ არა აკობარდიას, 3) იყო თუ არა შურისძიება მილიციის უფროსის მხრივ მიქაბერიძისადმი თითქო მხილებსა გამო.
ან ჰო, ან არა! თუ ჰო,—მაშინ ბრძანეთ თქვენი სახელით, იკისრეთ მისი დაბეჭდვა და პასუხისმგებლობა.
ქალაქის მოურავის დავალებით, გამგეობის მდივანი დ. სულთაშვილი.

საგანასწავლი მსოფლიო
ბ ა ქ ო.
გენ. ბარათოვის გამგზავრება.
2 სექტემბერს, გენ. ბარათოვი ბაქოდან თავის ამალით გაემგზავრა მოხალისეთა ჯარების მიერ დაპყრობილ რაიონში.

ძიება ვერ მოაღწევს სასურველ მიზანს, ამიტომ შეიძლება და ვთხოვ ყველას, აგრეთვე „საინოვაციო“ ვისაც კი ჰქონია შემთხვევა სად კომპარტიდან ტვირთის გამოგზავნისთვის ყველას რამდენიმე ბილეთი პლაცკარტებით და ხელში კა ნაშენილად მიეღოს ნაკლები, მაინც დაწვრილებით თავის ვინაობა, როდის და რამდენ ტვირთის გაგზავნის დროს მოხდა ეს ამბავი შემდეგ მისამართით: სად. ქუთაისი.

მე-2 უბნის სადგურთა ანგარიშ წარმოების რევიზორი—4. კურდევანიძე.

ს.-დ. პარტიული

თფილისი. 2 სექტემბერს შესდგა მეორე რაიონული კოლექტივის ახალი წევრების არჩევნების კრება. დაესწრო 13 წევრი. დღის წესრიგში იყო: პრეზიდიუმის არჩევნები და სპ. ს. დ. მ. 3. ცენტრალური კომიტეტის მოწერილობა. ფარული კენჭისყრით ხმის უმეტესობით აირჩიეს პრეზიდიუმში 5 კაცი: კოლექტივის თავმჯდომარე აბ. ფილიპოვი, მისი ამხანაგები არჩილ რუხაძე და პლაცკარტული განყოფილება, მდივანთ აბ. თედორე ხუბუნიანიშვილი, ხაზინადართ აბ. ს. ლომიძე. პრეზიდიუმს დაეწინააღმდეგა რეგლამენტის გამოთქმება და მომავალ კრებისთვის წარმოდგენა. თანახმათ ს. ს. დ. მ. 3. ცენტრალური კომიტეტის მოწერილობის კოლექტივმა თავის მხრით აირჩია, 6. გორგაძის საქმის გამოძიების გამო, მოსამართლეთ აბ. ს. ქიტიაშვილი.

ა. ზნაივა.

თფილისი. შაბათს 30 აგვისტოს შესდგა მეორე რაიონის ქალთა ორგანიზაციის კრება. კრება გახსნა აბ. მახვილძისამ, დღიურ საკითხების მოკლე განმარტებით. დღიურ საკითხებით წამოყენებული იყო: 1) კანდიდატების არჩევა მეორე რაიონულ კოლექტივში, და 2) კულტურულ-განმანათლებელი კომისიის არჩევა. კრებამ აირჩია რაიონულ კოლექტივში 2 კანდიდატი და ოთხი კაცისაგან შემდგარი კულტურულ განმანათლებელი კომისია. დასასრულ არჩევნების კრებამ გამოიტანა დადგენილება, რომ მოანწილეობა მიიღოს საბავშვო დღესასწაულებში, რომელსაც აწყობს პროფესიონალური კავშირის საბჭო. მდ. 5. რ.—ხა.

ს. ს. დ. მ. 3. მესამე რაიონის კოლექტივის მიერ არჩეული პარტიული საგანმამებლო კომისია, რომელსაც აქვს მინდობილი გამოიკვილოს საქმის მდგომარეობა აბ. მოსე ჯანველოვის გარშემო შექმნილ მითქმა-მოთქმისა მისდამი პარტიული დისციპლინის და პრინციპების დარღვევის შესახებ, სთხოვს ყველას, ვისაც ამ საგანზე რაიმე საბუთი აქვს, აცნობოს კომისიას, რომელსაც შედიან: ნ. სხულუბია, ნ. ბედენაშვილი და ი. ბარამაშვილი. კომისია იქნა დანიშნული თანხმად აბ. მ. ჯანველოვის განცხადებისა. მისამართი: მესამე კოლექტივის ან შტაბის ბინა.

კიათურა. შაბათს, 6 სექტემბერს, დანიშნულია კიათურის ს. დ. პარტიის ორგანიზაციის წევრთა საზოგადო კრება. დღის წესრიგი: 1) მოხსენება კომიტეტისა მისი მუშაობის შესახებ. 2) მოხსენება ანგარიშების შესახებ. 3) სარევიზო კომისიის მოხსენება და ანგარიშების განხილვა-დამტკიცება. 4) არჩევნები ახალი კომიტეტისა, 5) მოხსენება დამფუძნებელ კრების წევრის სოც. დ. ფრაქციის აბ. ხ. გურულის, ფრაქციის მუშაობაზე. კიათურის კ.—ტი.

მუშათა შორის

თფილისი 23 აგვისტოს შესდგა კლნიციკის ზეთის ქარხნის მომუშავეთა კრება. კრებას დაესწრო ს. ს. დ. მ. 3. მესამე რაიონის კოლექტივის წევრი ნ. სხულუბია, რომელმაც მოკლემად განაცხად მუშებს კოლექტივის იდეოლოგიის მუშაობა და მოუწოდა პარტიულ ამხანაგებს და თანამგზავრობთ შემოკრებენ კოლექტივის გარშემო, დაესწრნენ ხშირად კოლექტივთან არსებულ პარტიული შკოლის მეცადინეობას, სახალხო უნივერსიტეტის ლექციებს და საზოგადოდ მიიღონ მხურვალე მონაწილეობა პარტიული მუშაობაში. მთავარი საკითხი კრებისა იყო გამოკვლევა იმ პრეტენზიებისა, რომელიც იყო მიმართული ადგილობრივი პროფესიონალური კავშირის განყოფილების წევრებისადმი; რაიც გამოიხატებოდა მუშების ადგილზე უსასტემოდ შიღბაში. კავშირის გამგებობის უფროსი განმარტების შემდეგ გამოითქვა, რომ თუცა ახალ მუშების მიღებაში ყოველი გაუგებრობა, რაც მიეწერება უმეტესად ინსტრუქციის უქონ

ლობას, მაგრამ ბოლო დროს ამ მხრივ საქმე მოგვარებულია და გამოვლინდა იმედს გამოსთქვამს, რომ შემდეგში უფრო მოვლენას დასაყვედურს ადგილი არ ექნება. არც კავშირის მოქმედებაში და არც პარტიული მუშაობის მსვლელობაში სათანადოდ არ ყოფილან გააცნობილი მუშები, რაიც უნდა მიეწეროს წარმომადგენელთა, ამ ორგანიზაციებში, უმოქმედობას, ვინაიდან მათ თურმე არ გადმოაქვთ მუშებში მოხსენებები. აბ. სხულუბიას შემოაქვს წინადადება: ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საქაროა მოკლე ხანში მოხდეს ადგილობრივი პროფესიონალური კავშირის რეორგანიზაცია (არჩევნები). დაევალოს, როგორც გამოვლინდა, ისე პარტიული ორგანიზაციაში წარმომადგენელად მოყოფ ამხანაგებს არა უფიქრანეს ორი კვირისა მოახდინონ სავითო კრება მუშებისა, სადაც ფართოდ უნდა იქნეს გაშუქებული კითხვები როგორც კავშირის მოქმედებაზე, ისე პარტიული მუშაობის მსვლელობაზე. წინადადება ერთხმად იქნა მიღებული. დახმარე.

ფრონტისთვის

19 და 20 ივლისს გამართულ ფრონტის დღეს „მეორე ქართულ კლუბში“ კუკიის მცირე კოლექტივის ხელმძღვანელობით შემოვიდა 16.045 მან. მხოლოდ მისი ინიციატივით როგორც ბუფეტებიდან, ისე სხვა გასართობებიდან 2971 მან. შემოწირულა ნასიძისაგან 150 მ., კლუბისაგან 100 მან., კუკიის მცირე კოლექტივისაგან 100 მან., ცაგურისაგან 20 მათ. ზელტერსკი და დიდზურაბოვისაგან სანოვავე ერთი ბოთლი არაყი და ერთი ბოლი კონიაკი. ამ რიგად, იულ შემოსავალი იყო 20,266 მან. ხარჯი 1216 მან. წმინდა შემოსავალი დარჩა 19050 მან. რაც გადაეცა დანიშნულებისამებრ. კუკიის მცირე კოლექტივი დიდ მადლობას უძღვნის მეორე ქართულ კლუბის გამგებობის წევრებს, რომლებმაც თავიანთ უსასყიდლო შრომით დიდი დახმარება გაგვიწიეს. აგრეთვე მადლობას ვუძღვნით ყველა ზემოხსენებულ შემოწირველთ.

მცირე კოლ. თავმჯდომარე კ. ლაბაური.

გთხოვთ მოათავსოთ უახლოეს ნომერში შემდეგი: გაგრის ფრონტის გვარდიელები-სარდიონ შველადის ხელით მივიღეთ რუბასი (800 მ.) მანეთი დახოცილ ჭვარდიელების ცოლშვილის სასარგებლოთ.

ფრონტის დღის კომიტეტის რწმუნებულ მურუხიძე.

პროპინდია

ქარელი. ამ ბოლო დროს ნაძირალებმა დაიწყეს თარეში და მშვიდობიან მცხოვრებათა აწიოკება. ამ ერთი თვის წინად აქაურ ებრაელების ორი ოჯახი ააწიოკეს და რაც კი სარჩო საბადებელი ჰქონდათ, წაიღეს. ეს შერჩათ და ამის შემდეგ უფრო გაბედულათ იწყეს თავიანთი ბოროტი განზრახვების სისრულეში მოყვანა. მოიტაცეს მინდორში მუშაობით დაღლილ დაქანცული გლეხი შედათუაშვილი განათავისუფლეს რამდენიმე დღის შემდეგ. ესეც შერჩათ და მძარცველები აღმოუჩნდნენ დარჩენ. 27 აგვისტოს მათი თავხედობა უფრო შორს წავიდა: საღამოს 9 საათზე, შიგ შუა ქარელში, თავს დაესხნენ ქარელში მცხოვრები ილია მიქაბაძეს და „ვაჟურის“ ორი ტყვიით დასჭრეს ის ბარძაყში, ხოლო მისი ცოლი—კისერში. ილია მიქაბაძე გორის მაზრის ერობის ხმოსანია და თუ ესეც შერჩებოდა, მაშინ არც ერთი მოწინავე კაცი ქარელში არ არის დაზღვეული, რომ მათაც ასეთი ბედი არ ეწვევა. 1 ექვილისთვის, ღამე ავაზავები თავს დაესხნენ ქარელში მცხოვრებ გლეხს მკვლელიშვილს და გაძარცვეს.

ყოველივე ამას დაუყოვნებლივ უნდა მიექციოს ყურადღება ჩვენმა მთავრობამ, გამოგზავნოს ქარელში ძალა და რაც შეიძლება სასწრაფოდ ალაგმოს ნაძირალების თავგასულობა, თორემ მშვიდობიანი მცხოვრებლები ძალზე შეშინებულნი არიან და გულგატეხილნი, თითქოს შველას არსიდან მოეღიან. იმედია ჩვენი მთავრობა აჩვენებს მათ ძალას და არ მისცემენ საშუალებას კვლავ ააწიოკონ მშრომელი ხალხის ოჯახები. მ. კ.

გორი. კვირას, 1 სექტემბერს, დამფუძნებელ კრების წევრმა დ. ონიაშვილმა საზოგადო კლუბის დარბაზში წაიკითხა მოხსენება თანამედროვე მომენტზე. მოხსენება შინა არსიანი იყო და ხალხიც კმაყოფილი დარჩა. კრების მიერ მიღებულ იქნა რეზოლუცია რომლითაც კრებამ მოიწონა მომხსენებლის ყველა დებულება და სრული ნდობა გამოუცხადა რესპუბლიკის მთავრობას.

— გორის ქალთა გინაზიაში მისაღები და განმეორებითი გამოცდები დაიწყება 8 სექტემბრიდან. სწავლა დაიწყება 15 სექტემბერს. — გორის სამასწავლებლო სემინარიაში მისაღები და გადასაყვანი გამოცდები დაიწყება 8 ნოემბრისთვის, სწავლა—15 სემინარიაში იქნება 30 კაცის ბინა, სასაბუღალტრო კუბულით, სამზარეულო უწყვეტ, მზარეული; ყველამ საკუთარი ლოგინი უნდა იქონიოს აუცილებლად.

საშტრედია. 27 აგვისტოს ქალაქის თვითმართველობის დარბაზში შესდგა არაჩვეულებრივი კრება ქალაქის საბჭოს, სადაც ქუთაისის ერობის თავმჯდომარე კოწია სულაქველიძემ გააკეთა მოხსენება—ახალი ვიწრო ლიანდაგიან რკინის გზის აგების შესახებ, რომელიც უნდა გაყვანილ იქნას ქუთაის-წყალტუბო ხონი-ბომბიას სამტრედიას შუა. მოხსენებლის ვაღმოცემით გზა დაჯდება 16 მილიონი მან. ჯერ-ჯერობით დახარჯულია 800,000 მ. საჭირო ხარჯები უნდა გაიღოს სამაზრო ერობამ, ქალაქ ქუთაისმა, სამტრედიამ და ხონმა. საბჭომ მოისმინა რა მოხსენება მიიღო თავის თავზე ერთი შეექვსედი ხარჯებისა, გაიღო უკვე დახარჯულ თანხის შექვსედი 100,000 მ. აგრეთვე დაადგინა შეიძინოს და გაავრცელოს ფართოდ ობლდგაციები, რომელიც ღირს თითო 100 მან.

გვენი ფოსტა

სიღნაღი, კოლა მაჭარაშვილს. განცხადება არ დაიბეჭდა, რადგან ძლიერ დაგვიანებით მივიღეთ. შეგვატყობინეთ რა დანიშნულება მივეყთ განცხადების ფულს. თურგეთი, გრ. აზაშიძეს. განცხადება არ დაიბეჭდა, რადგან ძლიერ დაგვიანებით მივიღეთ. შეგვატყობინეთ რა დანიშნულება მივეყთ განცხადების ფულს. დიდი-ჯიხანში, ს. დ. კოლექტივს. მივიღეთ 120 მ შეგვატყობინეთ მისი დანიშნულება.

განცხადებანი

შუა ხნის ქალი პაპა ალიუს ხელზე მოსამსახურისა საავადმყოფოებში, რესტორან-სასადილოებში, სასტუმროებში, და სხვა შესაფერ ადგილებში მცირე ჯამაგირში. იკითხეთ ვეძინის ქ. № 34 მარამ ელისაბედაშვილი.

ექიმი დ. მ. ჯავახიშვილი. იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დღით 8—9 ს. დის და საღამოთი 4—7 ს. დის. ბინა: მიხეილის პროსპ. № 62. ტელეფონი 14—60.

ექიმი მ. მ. მუსხაშვილი. დაბრუნდა და განაახლა ქირურგიული ავადმყოფების მიღება ახალ ბინაზე—მიხეილის საავადმყოფოს გვერდით. ავადმყოფებს მიიღებს საღამოთი 5—6 ს. კვირა და უქმე დღეების გარდა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი ა. ი. მუთათელიანი იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულ. ავადმყოფთ საღ. 5—7 საათ. გარდა კვირისა. მიხეილის პროსპ. № 55. ფოსტის პირდაპირ. ტელ. 10-46.

კინემატოგრაფი სოფლათ

თფ. ქალ. შრომის ბირთა მართავს სამტრედიის რაიონის ქვემოთ ჩამოთვლილ ადგილებში საღამოებს მოძრავი სურათებს ს. ჩვენებით: 1) შაბათს, 4 სექტემბერს სოფ. ჯიგოთხანში, 2) კვირას, სექტ. ს. ეწერში. 3) ორშაბათს, 8 სექტ. ს. იანეთში. 4) სამშაბათს და ოთხშაბათს 9 და 10 სექტ. სოფ. დიდ-ჯიხანში. 5) ხუთშაბათს, 11 სექტ.—ს. გაგანში, 6) პარაკევის და შაბათს, 12 და 13 სექტ. ს. კულაშში. პროგრამა: 1) ოთხ მოქმედებრიანი დრამა თავისუფლებისთვის მეტროპოლის ცხოვრებიდან „რევოლუციონერი“, 2) სურათები მეცნიერებიდან და 3) სახუმარო სურათები. სასიყვრო ეზო განათებული იქნება ელექტრონით, დაუკრავს ფისგარმონია. გარდა ამისა სოფ. ჯიგოთხანში 6 სექტ. სურათების ჩვენებამდე მოხსენებას გააკეთებს პარამ კახიანი შემდეგ თემაზე: 1) თუ რა არის შრომის ბირთა და 2) ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა, ხოლო ს. ეწერში, 7 სექტემბერს—საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. მთელი შემოსავალი მოხმარდება საქველმოქმედო საზოგადოებებს. (2—1)

სახალგო განათლების სამინისტროს ნებართვით დაარსდა პირველი ქართული ბუკალტერიის კურსები ორივე სექსისთვის წლოვანების განზრდილად ალ. გ. საათაშვილის (წელიწადი მეორე). ბუკალტერიის (წავლა, კანტორის საქმის ცოდნა და სხვა კომერციული საგნების შეთვისება მოწყობილია პრაქტიკულად. წესდების გაგება და კურსებზე ჩაწერა ყოველდღე დღის 9—12 საათ. და 4—7 საათამდე. მისამართი: თფილისი, დუშეთის ქ. (1-ლი უბანი, წყნეთის ქუჩის ახლოს) სახლი № 9, ტრამვ. ვაგონები № 5—9. (2—1)

ლაკარგა ღამით 30—31 აგვისტოს ქუთაისიდან თფილისამდე პირდაპირ მატარებელში № 12 მეორე კლასის ვაგონში პორთფელი, რომელშიაც იყო ჩემს სახელზე სხვადასხვა საბუთები. ბანკთან მიწერ-მოწერა და ჩეკები, რომელნიც ჩემთვის საჭიროა და სხვისთვის გამოუადგები. მკოველს ვსთხოვ გამომიგზავნოს, ანუ თავის მისამართი გაგზავნოს. ჩემი ადრესი ახალსენაკი, სასტუმრო „ფრანცია“, მკოველი მიიღებს შესაფერ ჯილდოს. (1—1) გიორგი კოსტანტინეს ძე ჩიჩუა.

ლოქტორი მ. მ. მუსხაშვილი. ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილდის მთავარი გოსპიტალისა და ვენერის უნივერსიტეტის ქირურგიის ტი. მუსხაშვილი. თვალის ავადმყოფობანი. ამორჩევა სათვალურებისა. მიღება 8—12 საათამდე. პლენარის ათამდე, ნიკოლოზის ქუჩა, № 32.

ექიმი მ. ა. მუსხაშვილი. სპეციალურად სოფლისი და მისი შედეგები (შეზნაპუნება „606“ და „914“) ვენეროლოგი (ტრიპერი) და საზარდო ორგანიზების სნეულეზანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე (დღით 9—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირით მხოლოდ დღით, მისამ: ოლიას ქუჩა № 33.

ექიმი იოსებ ჩაუდენის ძე ცინცაძე იღებს ვენეროლოგიის სნეულ. ავადმყოფობის საღამოს 5—7 საათ. ყოველდღე. პლენარის პროსპ. № 121, ბინა 4, ტელეფ. 11—06.

ექიმი მ. მ. მუსხაშვილი. ქალისა და საღმრთაქრო ავადმყოფების მიღება ყოველ დღე საღ. 5—7 საათ. ოლიას ქ. № 41, ტელ. 12—75.

ექიმი მ. მ. მუსხაშვილი. მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა იღებს შინაგან, საბუთო და ქალურ სნეულ. ოთხშაბათობით და შაბათობით დღით 10—11 საათ. დანარჩენ დღეებს დღის 12—2 ს. ნიკოლოზის ქუჩა № 7 სიმბოვიჩის ავთაქის გვერდით. ტელეფონი 14—13.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა მ. მ. მუსხაშვილი. შინაგანი ავადმყოფობა, კლექტისა და გულისა იღებს ახალ რენტგენის-ელექტრონული წამლოზის კაბინეტში; ხასინჯვა და წალოზა X სხივებით, დიდი საღმრთოდი და არსევალი ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ლორიბების უფასოთ ყოველ დღე დღის 8—12 საათამდე და საღამოს 6—9 ს. ბუფთოვის ქ. № 23, ტელ. 7—92.

ბ. ბ. მუსხაშვილი. პროფ. დოქტ. მედიცინისა მ. მ. მუსხაშვილი იღებს ნერვების და შინაგანი ავადმყოფობით სნეულებს. მისამართი: სასტუმრო „მინერალური წყლები“ (Минеральные воды). ექიმი ა. მ. კეკელიძე. სიფილისი და ვენეროლოგი სნეულებანი. შეზნაპუნება „606“ და „914“ მიღება დღით 9—11, საღამოთი 4—6 ს. მიხეილის პროსპ. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ № 116. ტელ. 14—26.

ექიმი ნიკოლოზ მანანის ძე მანანიაძე იღებს სპეციალურად—შალარით (კიბედა მისი შედეგებით დასნეულებულთ) სისხლის ნაკლებობით, გულსა, ფილტვისა, ქარებისა და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აუთიაქის ახლო.

ექიმი ქალი მ. მ. მუსხაშვილი. მედიცინის დოქტორი ვენერის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიული კოლეჯისა. თფილისიდან წავლის გამო ავადმყოფთა მიღება შეწყვეტილია 20 აგვისტომდე.

ექიმი მ. მ. მუსხაშვილი. ღებულ ობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავადმყოფებს დღის 12—1 საათ. საათ. საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მლათოვის ქუჩა. № 7. ალექსანდრეს ბაჟის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.